ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

ბრძანება:**ბ49.49212213**
თარიღი:**09/08/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

საკრებულოს სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წერილი (2021 წლის 6 აგვისტოს #48-482121854), რომელიც შეეხება რიგი გაუთვალისწინებელი საკითხების განხილვის მიზნით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას.

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ გ“ ქვეპუნქტის,26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის,54-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ.გ. ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-51 მუხლის პირველი პუნქტის “დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. 2021 წლის 10 აგვისტოს 13-00 საათზე მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

ა) **განკარგულების პროექტი** - 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს -საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინა საარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაცია)შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

/მომხ. მურმან შალამბერიძე/

ბ) **განკარგულების პროექტი** - 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს -საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/ თვითმართველი თემის მერის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ.

/მომხ. მურმან შალამბერიძე/

გ) განკარგულების პროექტი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის (საკ/ კოდი #29.07.32.282) პირველ სართულზე განთავსებული 21,67 კვ/

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM

მ/ ფართის (ერთი ოთახი) საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით, ფიზიკურ პირზე ნათია ლიკლიკაძეზე სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 6 (ექვსი) თვის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხ. მურმან შალამბერიძე/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;

ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12-30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე